

თავშესაფრის მაძიებლებსა და ლტოლვილებთან დაკავშირებული
სამთავრობო პოლიტიკა საქართველოში

ბექა ბუცხრიკიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების
და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: კახაბერ ურიადმყოფელი, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2018

სარჩევი

აბსტრაქტი.....	1
Abstract.....	4
შესავალი.....	6
საერთაშორისო პრაქტიკა და სტანდარტები	7
დამდგენი პირობები	9
გამომრიცხავი პირობები	10
შეწყვეტის პირობები	10
თავშესაფრის მაძიებელი.....	12
დამატებითი დაცვა - ჰუმანიტარული სტატუსი	13
გრძელვადიანი გადაწყვეტილებები.....	14
არსებული სამართლებრივი ჩარჩო	16
თავშესაფრის მინიჭების პროცედურები	16
საერთაშორისო დაცვის პროცედურები და ვადები	18
ლტოლვილებისა და ჰუმანტარული სტატუსის მქონე პირთა ზოგადი სამართლებრივი გარანტიები	20
ზოგადი ინფორმაცია და არსებული სტატისტიკა	22
კვლევის მიზანი	25
კვლევის მეთოდოლოგია	26
ლიტერატურის მიმოხილვა.....	28
საქართველოში ჩატარებული კვლევები	30
არსებული ფაქტობრივი პრაქტიკა და ხარვეზები თავშესაფრის მინიჭების პროცესში.....	33
გასაუბრების ჩატარების წესი და პრაქტიკა	33
თავშესაფარზე უარის თქმის მაჩვენებლები	38
თავშესაფრის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლები	40
თავშესაფრის მაძიებელთა დროებითი განთავსების ცენტრი.....	44
არსებული ფაქტობრივი პრაქტიკა და ხარვეზები ლტოლვილებისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებთან დაკავშირებული პოლიტიკაში.....	46
წვდომა ენის კურსებზე.....	47
ლტოლვილთა ინტეგრაციის ცენტრის მდებარეობა;.....	48
სწავლების მეთოდიკა	49

ცრუ განწყობების შექმნა.....	51
სამიზნე აუდიტორიის შეზღუდვა	53
წვდომა ჯანდაცვის მომსახურებებზე.....	54
ინფორმაციული ვაკუუმი	54
ენის ბარიერი	55
პოლიკლინიკების მდებარეობა.....	56
განათლების აღიარების საკითხი.....	57
წვდომა სკოლამდელ განათლებაზე.....	59
წვდომა ზოგად განათლებაზე	61
წვდომა უმაღლეს განათლებაზე	63
წვდომა პროფესიულ განათლებაზე და სამსახურის პოვნის შესაძლებლობები	64
მართვის მოწმობის მიღებასთან დაკავშირებული საკითხები.....	67
სამგზავრო დოკუმენტები და გადაადგილებასთან დაკავშირებული პრობლემები.....	69
ოჯახის გაერთიანების შესაძლებლობა და არსებული რეალობა.....	70
ნატურალიზაციის შესაძლებლობები და დაბრკოლებები.....	71
პრობლემები საჯარო სერვისებზე წვდომაში	72
დასკვნები და რეკომენდაციები.....	76
Bibliography.....	80

აბსტრაქტი

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში თავშესაფრის მაძიებლების, ლტოლვილებისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა რაოდენობის მზარდი დინამიკა შეინიშნება. ამის კვალდაკვალ განუხრელად იზრდება ამ თემის აქტუალურობა ქართულ საზოგადოებაშიც. თუმცა, თავშესაფრის მაძიებელთა საქართველოსათვის მიმართვიანობის ზრდა და საერთაშორისო დაცვის ქვეშე მყოფ პირებთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკა ხშირად არასწორადაა წარმოდგენილი და დანახული. ამის საპასუხოდ, აღნიშნული ნაშრომი იკვლევს თავშესაფრის მინიჭების არსებულ პრაქტიკასა და ლტოლვილებთან დაკავშირებულ პოლიტიკას საქართველოში. წარმოდგენილი კვლევის მიზანია თავშესაფრის მაძიებლებისა და საერთაშორისო დაცვის ქვეშე მყოფ პირთა წინაშე არსებული პრობლემებისა წარმოდგენა და აღნიშნული პრობლემების გადაჭრის შესაძლო გზების შეთავაზება.

აღნიშნული კვლევის თემა შეეხება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ თავშესაფრის მინიჭების დამკვიდრებულ პრაქტიკას, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებთან დაკავშირებულ სახელმწიფო პოლიტიკას და მათი სოციალური დაცვისა და ინტეგრაციისადმი მიმართული ღონისძიებების ეფექტურობისა და ეფექტიანობის შეფასებას. კვლევის საფუძველზე შემუშავდა ჰიპოთეზა, რომ ლტოლვილებთან დაკავშირებული საინტეგრაციო პოლიტიკა არ არის ეფექტიანი და ის არ ემსახურება საერთაშორისო დაცვის ქვეშე მყოფ პირთა ადგილობრივი ინტეგრაციასა და ნატურალიზაციის რეალურ შესაძლებლობებს. აღნიშნული საკითხის შესასწავლად, კვლევაში გამოყენებულია სოციოლოგიური კვლევის ისეთი თვისებრივი მეთოდები, როგორცაა: დოკუმენტებისა და მონაცემების ანალიზი, სიღრმისეული ინტერვიუები და მესამეული წყაროების შესწავლა.

კვლევის მიხედვით გამოიკვეთა საქართველოს კანონმდებლობასა და თავშესაფრის მინიჭების პროცედურებში არსებული ხარვეზები. კვლევამ ასევე აჩვენა ლტოლვილთა ინტეგრაციის მიმართულებით არსებული პოლიტიკისა და ღონისძიებების ნაკლოვანობა და არაეფექტიანობა, რომელიც არაა მიმართული საერთაშორისო დაცვის მქონე პირების სრული ადგილობრივი ინტეგრაციისკენ.

აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს რეკომენდაციებს საჭირო საკანონმდებლო ცვლილებებისა და ლტოლვილთა ინტეგრაციის მიმართულებით არსებული პოლიტიკის დახვეწის მიზნით, რათა უზრუნველყოფილი იყოს საერთაშორისო ნორმებითა და საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული თავშესაფრის მინიჭებისა და ლტოლვილთა სრული ადგილობრივი ინტეგრაციის შესაძლებლობა.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: ლტოლვილთა ინტეგრაცია, საერთაშორისო დაცვა, თავშესაფრის მინიჭება

Abstract

In recent years, Georgia witnessed the dynamic growth of asylum seekers, refugees and humanitarian status holders. Along with this, the cruciality of this issue has been growing constantly for Georgian society. However, the increasing number of asylum seekers and persons under international protection is often incorrectly seen and misrepresented. In a response to this, the presented paper examines the existing practice of acquiring asylum status in Georgia and the policy of the government in regards to the refugees and humanitarian status holders. Therefore, the presented work aims to present obstacles and problems faced by asylum seekers and persons under international protection and suggests recommendations for the possible solutions.

The topic of the presented work is directed to examine the existing asylum practice settled by the Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Accommodation and Refugees of Georgia as well as state policy related to persons with refugee and humanitarian status and evaluation of effectiveness and efficiency of activities directed towards their social security and integration. Based on the research, a hypothesis was developed that integration policy related to refugees is not effective and It does not pave the way for the real possibilities of local integration and naturalization of persons under international protection. For this purpose, the paper uses qualitative research methods, document and data analysis, in-depth interviews with the people of concerns and study of the tertiary sources.

The research revealed that there are gaps in legislation and asylum procedures of Georgia. The study also showed that policy and measures in regards to refugee integration are defective and ineffective that is not directed towards full local integration of persons with international protection.

In response to the problems highlighted in this paper, the study suggests recommendations for the purpose of improving existing legislative amendments and the policy towards refugee

integration in order to ensure proper asylum procedures and full local integration opportunities that are guaranteed by international norms and Georgian legislation as well.

Keywords: Refugee Integration, International protection, Granting Asylum.